სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/184

ქ. თბილისი

12 ოქტომბერი 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის #133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის „ო“ ქვეპუნტის და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-20-21 მუხლებისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები დაინიშნოს 2020 წლის 5 ნოემბერს;
2. არჩევნების შესახებ განცხადება პრესაში გამოქვეყნდეს 2020 წლის 16 ოქტომბერს, დანართის შესაბამისად დამტკიცდეს განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოსაქვეყნებლად;

3. არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს 2020 წლის 23 ოქტომბერს და დასრულდეს 2020 წლის 29 ოქტომბერს;
4. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2020 წლის 3 ნოემბერს;
5. აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატურა კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
   ა) ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
   ბ) აქვს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
   გ) აქვს ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
   დ) არის 65 წელზე ნაკლები ასაკის.
7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
   ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
   ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
   გ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
   დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ე) ავტობიოგრაფია (CV);
   ვ) სამოქმედო გეგმა;
   ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
   თ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
   ი) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
10. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
11. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე

დანართი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები აკადემიურ საბჭოში დაინიშნა **2020 წლის 5 ნოემბერს. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართება 2020 წლის 3 ნოემბერს.**

არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 23 ოქტომბერს და მიმდინარეობს 2020 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
ბ) აქვს პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
გ) აქვს ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
დ) არის 65 წელზე ნაკლები ასაკის.

პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
გ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) ავტობიოგრაფია (CV);
ვ) სამოქმედო გეგმა;
ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
თ) ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
ი) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე.

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კოსტავას ქ. №77, მე-2 სართული, ოთახი №238. საკონტაქტო პირი - დავით გორგიძე, ტელ.: 599 22 33 64, საბუთების მიღება იწარმოებს ყოველ დღე 10^{00} -დან 17^{00} საათამდე.